



CREATIVE  
GEORGIA

# ციფრული ტრანსფორმაციის გზამკვლევი კულტურული ორგანიზაციებისთვის

სსიპ შემოქმედებითი საქართველო

თბილისი  
საქართველო **2024**

# ციფრული ტრანსფორმაციის გამკვლევ კულტურული ორგანიზაციებისთვის

სსიპ შემოქმედებითი საქართველო

ციფრული ტრანსფორმაცია დღევანდელი სამყაროს მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელმაც შეუქცევადი ცვლილებები შეიტანა სხვადასხვა სექტორში, მათ შორის, შემოქმედებით ინდუსტრიებშიც. ტექნოლოგიურმა პროგრესმა და ციფრული მედიის განვითარებამ ახალი შესაძლებლობები შექმნა.

წინამდებარე გზამკვლევაში განვიხილავთ ციფრული ტრანსფორმაციის საფუძვლებს, მის მნიშვნელობას და გავლენას კულტურულ ორგანიზაციებზე, ასევე გამოვავლენთ გამოწვევებს, რომლებსაც თქვენი ორგანიზაციები შეიძლება წააწყდნენ ამ ცვლილების პროცესში. გარდა ამისა, გავცნობით ციფრული ტრანსფორმაციის წარმატებულ მაგალითებს, თუ როგორ შეუძლია ციფრულ სამყაროში სწორმა პოზიციონირებამ გააუმჯობესოს შემოქმედებითი ინდუსტრიების ფუნქციონირება და კონკურენტუნარიანობა.

„ციფრული ტრანსფორმაციის გზამკვლევი კულტურული ორგანიზაციებისთვის“ შექმნილია პროექტ „ციფრული ტრანსფორმაციის“ ფარგლებში. პროექტს ახორციელებს სსიპ შემოქმედებითი საქართველო და იგი მიზნად ისახავს კულტურული ორგანიზაციების გაციფრულებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდასა და შესაბამისი უნარების გამომუშავებას.

წინამდებარე სატრენინგო მოდული შედგენილია, პროექტის ფარგლებში, განხორციელებული კვლევითი საქმიანობისა და კვლევის დოკუმენტის საჭიროებათა ანალიზის შესაბამისად. სატრენინგო მოდულის მიზანია მკითხველში აამაღლოს ცნობიერება გაციფრულების მნიშვნელობისა და ინსტრუმენტების შესახებ კულტურულ ორგანიზაციებში, ასევე, განავითაროს ციფრული კომპეტენციები და უნარები თეორიული და პრაქტიკული დავალებების გზით.

პროექტი დაფინანსებულია UNESCO-ს მიერ.

პროექტ „ციფრული ტრანსფორმაციის“ მენეჯერი და გზამკვლევის კონსულტანტი: თინათინ ბაღაშვილი

გზამკვლევის ავტორები: ნინი სამხარაძე, თორნიკე რამბაშვილი  
დიზაინერი: ნატა ყიფიანი



## მოდული I: ციფრული ტრანსფორმაციის საფუძვლები

### ამ მოდულის გაცნობის შემდეგ:

- მიიღებთ კონკრეტულ ინფორმაციას და ცოდნას ციფრული ტრანსფორმაციის შესახებ, განსაკუთრებით შემოქმედებითი ინდუსტრიის და კულტურული ორგანიზაციების კონტექსტში.
- გეცოდინებათ როგორ ხდება კომუნიკაციის გამართიერება და გაუმჯობესება ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებით.
- რა პრობლემების წინაშე დგანან კულტურული ორგანიზაციები ციფრული ტრანსფორმაციის პროცესში.
- გავცნობით ციფრული ტრანსფორმაციის კონკრეტულ წარმატებულ მაგალითებს.
- მიიღებთ კომპლექსურ და პრაქტიკულ ცოდნას ციფრული ტრანსფორმაციის პროცესზე, რომელიც დაგეხმარებათ უფრო ეფექტურად მართოთ თქვენი ორგანიზაციები და მაქსიმალურად გამოიყენოთ თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიები.

## 1. რას ნიშნავს ციფრული ტრანსფორმაცია?

ციფრული ტრანსფორმაცია დღევანდელი მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი ასპექტია. იგი წარმოადგენს ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირების პროცესს ორგანიზაციის ყველა სფეროში, რაც ფუნდამენტურად ცვლის თქვენს სამუშაო წესს, ეს კი ნიშნავს არა მხოლოდ ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, არამედ კულტურულ ცვლილებას.

ხოლო „ციფრული იდენტობა“ გულისხმობს, თუ როგორ ხართ წარმოდგენილი ციფრულ სამყაროში, რამდენად აქვს თქვენს ორგანიზაციას უნარი ადაპტირდეს სწრაფად განვითარებად გარემოსთან და თანამედროვე ეპოქის მოთხოვნებთან, ანუ როგორ წარმოაჩინოს თავს თქვენი ორგანიზაცია ონლაინ სამყაროში.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში შემოქმედებითი სექტორიც მოიცვა ციფრული ტრანსფორმაციის გლობალურმა ტენდენციამ. გარდა ამისა, Web 1.0-დან Web 2.0-ზე გადასვლამ მთელ მსოფლიოში მნიშვნელოვანი ცვლილება შეიტანა ინტერნეტის გამოყენებაში. ვებ 1.0, რომელიც დომინირებდა ინტერნეტის ადრეულ პერიოდში, ძირითადად სტატიკური და ორიენტირებული იყო მარტივი ინფორმაციის მიწოდებაზე, რაც მოიცავდა მხოლოდ წასაკითხ მასალას ვებგვერდებზე. Web 2.0-მა ინტერნეტი უფრო დინამიკური და მომხმარებელზე ორიენტირებული გახადა, საშუალება მისცა ადამიანებს შეექმნათ და გაეზიარებინათ შინაარსი ისეთი პლატფორმების საშუალებით, როგორებიცაა ბლოგები და სოციალური მედია. ამ ცვლილებამ ხელი შეუწყო ონლაინ საზოგადოებებისა და სოციალური ქსელების ჩამოყალიბებას, ამან, თავის მხრივ, რევოლუცია მოახდინა კომუნიკაციაში, შეიქმნა ისეთი სოციალური პლატფორმები, როგორებიცაა: Facebook, YouTube, Instagram და სხვა.<sup>1</sup>

ციფრული ტენდენციების ინტეგრაცია თქვენს სექტორში უმნიშვნელოვანესია მდგრადი სერვისებისა და პროდუქტების განვითარებისთვის.

მისი ძირითადი მიზანია ორგანიზაციის ეფექტურობის გაზრდა, მომხმარებელთა გამოცდილების გაუმჯობესება და ახალი ბიზნესმოდელების შექმნა, რომლებიც უკეთ პასუხობენ თანამედროვე საზოგადოების მოთხოვნებს.

ციფრული ტრანსფორმაცია დიდ როლს თამაშობს კომუნიკაციის გაუმჯობესებასა და გამარტივებაში. ეს პროცესი მოიცავს სხვადასხვა ციფრული ინსტრუმენტის, პლატფორმისა და არხის დანერგვას, რომლებიც კომუნიკაციას როგორც თქვენი ორგანიზაციის შიგნით, ისე ორგანიზაციის გარეთ (საზოგადოებასთან ურთიერთობისას) უფრო ეფექტურს, სწრაფს და მოქნილს ხდის.

- 1. დისტანციური კომუნიკაცია:** ინტერნეტის და მობილური მონაცემების გამოყენებით თქვენ შეძლებთ კომუნიკაციას ნებისმიერ დროს და ნებისმიერი ადგილიდან. ვიდეოზარები, მესენჯერები და ელ.ფოსტა საშუალებას იძლევა მარტივად და სწრაფად დაუკავშირდეთ ადამიანებს მსოფლიოს მასშტაბით.
- 2. ქრონომეტრაჟის შემცირება:** ციფრული არხების გამოყენება ამცირებს ინფორმაციების გაცვლის დროს. სერვისების, როგორებიცაა ელ.ფოსტა, სოციალური მედია და ციფრული კომუნიკაცია, ფართოდ გამოყენება გაგიმარტივებთ მოლაპარაკების პროცესს/ გადაწყვეტილებების მიღებას რეალურ დროში.

1 ჯიმ რიჩარდსონი, „მუზეუმი და Web 2.0.“, 21 ივლისი, 2008. <https://www.museumnext.com/article/museums-galleries-web-2-0/>

- 3. სოციალური მედიის როლი:** მისი საშუალებით თქვენ შეძლებთ პირდაპირ ურთიერთობას მომხმარებლებთან.
- 4. თანამშრომლობის პლატფორმები:** ისეთი ინსტრუმენტები, როგორებიცაა Slack, Microsoft Teams და Zoom, დაგეხმარებათ იმუშაოთ გუნდურად, მიუხედავად ადგილმდებარეობისა.<sup>2</sup>

ციფრული ტრანსფორმაცია კომუნიკაციაში ასევე ზრდის მონაცემების ანალიზის შესაძლებლობებს, რაც თქვენს ორგანიზაციებს აძლევს საშუალებას უკეთ გაიგონ მომხმარებლების საჭიროებები და მოახდინონ სტრატეგიული გადაწყვეტილებების ოპტიმიზაცია.

### ციფრული ტრანსფორმაციის მნიშვნელობა

ციფრული ტრანსფორმაცია მნიშვნელოვანია დღევანდელ სწრაფ და ტექნოლოგიურად განვითარებულ მსოფლიოში. თქვენს ორგანიზაციას ის მისცემს შესაძლებლობას:<sup>3</sup>



იყოს კონკურენტუნარიანი



გაზარდოს მომხმარებელთა კმაყოფილება



გაზარდოს სამუშაო პროცესის ეფექტურობა



ხელი შეუწყოს ინოვაციებს

**ციფრული ტრანსფორმაცია არა მხოლოდ ტენდენცია, არამედ აუცილებლობაცაა ორგანიზაციებისათვის.**

2 ანა ჯორჯი, „რა არის ინტერნეტ კომუნიკაცია? ონლაინ კომუნიკაციის გზები“, 16 აგვისტო, 2024. <https://www.calilio.com/blogs/what-is-internet-communication>

3 ტომეკ ორბეჩოვსკი, „რატომ არის ციფრული ტრანსფორმაცია მნიშვნელოვანი ბიზნეს ზრდისთვის“, 14 აპრილი, 2023. <https://virtuslab.com/blog/business-insights/why-digital-transformation-important/>



### 3. ვიზიტორთა რაოდენობის გაზრდა

- » ხელმისაწვდომობა: ციფრული პლატფორმები უზრუნველყოფენ მარტივ წვდომას კულტურულ ღონისძიებებზე. მაგალითად, მუზეუმების შემთხვევაში, ციფრული პლატფორმები საშუალებას მოგვცემთ, რომ ინფორმაცია კულტურული მემკვიდრეობის შესახებ უფრო ფართო საზოგადოებისთვის გახადოთ ცნობილი და აგრეთვე, მსურველებს მისცეთ შესაძლებლობა ექსპონატები ციფრულ პლატფორმაზე ნახონ. ეს კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათთვის, ვინც ვერ ახერხებს გამოფენებზე თუ კულტურულ ღონისძიებებზე ფიზიკურად დასწრებას.

### 4. სამუშაო პროცესი

- » როგორც უკვე აღვნიშნეთ, ავტომატიზაცია და ციფრული ინსტრუმენტების გამოყენება სამუშაო პროცესების ოპტიმიზაციის საშუალებას მოგვცემთ, შეძლებთ დროისა და რესურსების დაზოგვას.
- » ურთიერთობა თანამშრომლებს შორის: ციფრული კომუნიკაციის საშუალებები თანამშრომლებთან სწრაფ კომუნიკაციასა და იდეების გაცვლაში შეგიწყობთ ხელს.
- » კულტურული ორგანიზაციებისთვის გაციფრულება მრავალი სიკეთის მომტანია, განსაკუთრებით ჩანაწერების და მონაცემთა შენახვის თვალსაზრისით. ის დაგეხმარებათ მონაცემების ცენტრალიზებულ მართვაში, ეს კი მათ ეფექტურ და სწრაფ ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს. ციფრული შენახვის სისტემები მონაცემების უსაფრთხოების დაცვას, რეზერვირების და აღდგენის შესაძლებლობას იძლევა. ციფრულ ფორმატში გადატანილი მასალები შეგიძლიათ წარმატებით გამოიყენოთ როგორც კომერციული, ასევე არაკომერციული მიზნებისთვის, მაგალითად, საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, კვლევისა ან დოკუმენტური ფილმისთვის.

### 5. მომხმარებელთან ურთიერთობა

- » მომხმარებლის გამოცდილების გაუმჯობესება: ტექნოლოგიების გამოყენებით თქვენ შეძლებთ უფრო სწრაფად და ეფექტურად უპასუხოთ მომხმარებელთა მოთხოვნებს და შეკითხვებს. ეს ურთიერთობის გაღრმავებაში შეგიწყობთ ხელს.

### 6. კომერციალიზაცია (E-commerce)

შემოქმედებითი სექტორის კომერციალიზაციაში ციფრული ტექნოლოგიების როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ისინი დაგეხმარებიან არა მხოლოდ პროდუქციის შექმნაში, არამედ მის გავრცელებასა და გაყიდვაში.

- » თქვენ მარტივად შეძლებთ სოციალურ ქსელებში (Facebook, Instagram, TikTok) ნამუშევრების პოპულარიზებას, რაც ბრენდის შექმნას და აუდიტორიის გაფართოებას უზრუნველყოფს და, შესაბამისად, ზრდის გაყიდვების რაოდენობას/შემოსავალს.
- » ციფრული ტექნოლოგიები ხელს შეგიწყობთ ახალი პროდუქტებისა და მომსახურებების განვითარებაში, გაქცევთ კონკურენტუნარიანად.
- » ონლაინ კომერციის საშუალებით ადვილად შეხვალთ საერთაშორისო ბაზრებზე, რაც თქვენი გაყიდვების პოტენციალს გაზრდის.
- » ონლაინ გაყიდვები: ციფრული ტექნოლოგიები თქვენს ორგანიზაციებს მისცემს შესაძლებლობას, გაამარტივონ და კომფორტული გახადონ ბილეთის/მომსახურების შექმნის პროცესი.

ციფრული ტრანსფორმაცია აუცილებელი ნაწილია კულტურული სექტორის განვითარებისთვის. ის უზრუნველყოფს არა მხოლოდ ორგანიზაციის ეფექტურ მუშაობას, არამედ მომხმარებელთა გამოცდილების გაუმჯობესებას და აუდიტორიის უფრო ფართო ჩართულობას. ორგანიზაციებს, რომლებიც ციფრულ ტრანსფორმაციას წარმატებით ახორციელებენ, ეძლევათ შესაძლებლობა უფრო მეტი ვიზიტორი მოიზიდონ.











## ამ გამოწვევების გადაჭრის გზები

შემოქმედებითი საქართველოს მიერ ჩატარებული კვლევის – „ციფრული ტრანსფორმაცია საქართველოს შემოქმედებით სექტორში: ძირითადი შესაძლებლობები და გამოწვევები“ – შედეგად დადგინდა, რომ შემდეგ ასპექტებზე ფოკუსირება დაგეგმარებათ თქვენს შემოქმედებით ინდუსტრიებში ციფრული ტრანსფორმაციის განხორციელებაში.

- 1. ციფრული ინდენტობის განსაზღვრა** - ძალიან მნიშვნელოვანია სხვადასხვა სოციალური მედიის პლატფორმაზე ორგანიზაციის რეალური საქმიანობისა და ინდივიდუალურობის ჩვენება. ამავდროულად, ორგანიზაციის ციფრული ინდენტობა უნდა აისახოს მის ვებგვერდზე, სოციალურ მედიაში და ფიზიკურ სივრცეებში.
- 2. ციფრული სტრატეგიის მორგება ორგანიზაციის მისიასთან და ხედვასთან** - იმის უზრუნველყოფა, რომ ორგანიზაციის მისია, ხედვა და ძირითადი ღირებულებები აისახოს მის ციფრულ სტრატეგიაში. ეს ხელს შეგიწყობთ ონლაინ კომუნიკაციისას თანმიმდევრულობის შესარჩუნებაში და გააძლიერებს თქვენი ბრენდის/ორგანიზაციის იდენტობას.
- 3. ციფრული შესაძლებლობების გააზრება და ცნობიერების ამაღლება** - სემინარებზე ან ტრენინგებზე დასწრება გაზრდის თქვენი თანამშრომლების ცოდნას თანამედროვე ციფრული პლატფორმების, ინსტრუმენტებისა და ტენდენციების შესახებ. ციფრული მიღწევების შესახებ განახლებული ინფორმაცია საშუალებას მოგცემთ, აქტიურად ჩაერთოთ სხვადასხვა ციფრულ პლატფორმაზე, რაც თქვენს პროფესიულ ზრდას შეუწყობს ხელს.
- 4. ციფრული იდენტობის სტრატეგიის შემუშავება** - SWOT ინსტრუმენტით თქვენი ორგანიზაციის შესწავლა, ყოვლისმომცველი ციფრული სტრატეგიის შექმნა, რომელიც ასახავს მიზნებს, პლატფორმებს და შინაარსობრივ მიდგომებს.
- 5. ბიუჯეტური ციფრული ინსტრუმენტების გამოყენება** - უნდა განსაზღვროთ მარტივი და ხელმისაწვდომი ციფრული ინსტრუმენტები შინაარსის შექმნის, სოციალური მედიის მენეჯმენტისა და აუდიტორიის ჩართულობის გასაუმჯობესებლად.
- 6. გამოწვევებზე სტრატეგიული პასუხები** - ორგანიზაციის წინაშე მდგარი სპეციფიკური ციფრული გამოწვევების იდენტიფიცირება და მორგებული გადამწყვეტილებების შემუშავება, როგორებიცაა მოქნილი ონლაინ ჩართულობის დაგეგმვა ან სოციალური მედიის გამოყენება სამიზნე აუდიტორიასთან დასაკავშირებლად.

- 7. ინოვაციის მიღება** - ინოვაციასთან დაკავშირებით სიფრთხილის დაძლევა და ციფრული ტრანსფორმაციისკენ მცირე, მაგრამ თავდაჯერებული ნაბიჯების გადადგმა. ორგანიზაციის მემკვიდრეობის გამოყენება ცვლილებებისთვის.
- 8. საუბრების პროცესში ჩართვა** - სოციალური მედიის ტენდენციების, როგორებიცაა საერთაშორისო დღეები, გამოფენები და სხვა მოვლენების ფართოდ განსახილველად. ე.წ. ჰაშთაგების # ეფექტურად გამოყენება აუდიტორიის გაფართოების მიზნით.
- 9. კონტენტის შექმნის უნარების გაძლიერება** - კონტენტის შექმნის უნარების სწავლა და გაუმჯობესება (გრაფიკული დიზაინის, ვიდეო მონტაჟისა და კოფირაითინგის) კონტენტის მომხმარებლების ინტერესებზე მორგება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს თქვენი აუდიტორიის ჩართულობას.
- 10. უნარების (შესაძლებლობების) განვითარება და ადამიანური კაპიტალის გაძლიერება** - ძალზე მნიშვნელოვანია გუნდის უნარების მუდმივ განვითარებაზე ზრუნვა, რაც შესაძლებელს გახდის მათ ადაპტირებას ციფრულ ტრანსფორმაციასთან.
- 11. სამუშაო გუნდის მონაწილეობის ხელშეწყობა** - გუნდის წევრების მოტივირება, რომ შექმნან საინტერესო პროდუქტი ან სერვისი - როგორიცაა მოკლე ვიდეოები. ეს გააძლიერებს საზოგადოებასთან კონტაქტს და ორგანიზაცია უფრო ადვილად ცნობადი გახდება.
- 12. საერთაშორისო მაგალითებზე სწავლა** - გაეცანით წარმატებულ საერთაშორისო პრაქტიკებსა და სტრატეგიებს, რათა გაიგოთ, თუ როგორ განახორციელოთ თქვენი ორგანიზაციის ციფრული ტრანსფორმაცია.



### როგორ ვიპოვოთ დაფინანსების წყაროები:

ციფრული ტრანსფორმაციის პროცესში გამოწვევების გადალახვა ძალზე მნიშვნელოვანია თქვენი სექტორის წარმატებისთვის. ფინანსური რესურსების მოძიება და აღნიშნულ სფეროში ცოდნის გაზრდა ხელს შეუწყობს თქვენი ორგანიზაციის ეფექტურ ფუნქციონირებას და გააძლიერებს მის როლს თანამედროვე საზოგადოებაში.



## 4. ციფრული ტრანსფორმაციის წარმატებული მაგალითები

ციფრული ტრანსფორმაციის პროცესში მრავალი მუზეუმი და კულტურული ორგანიზაცია წარმატებით ახორციელებს ინოვაციურ პროექტებს, რაც მათი როლის გაძლიერებასა და ვიზიტორთა გამოცდილების გაუმჯობესებას უწყობს ხელს.

მაგალითისთვის ავიღოთ **ბულგარეთის ეროვნული ისტორიის მუზეუმი**, რომელიც ქვეყნის კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის დაცვაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ბოლო წლებში მუზეუმმა სხვადასხვა ციფრული პროექტი წამოიწყო, რომლებიც მიზნად ისახავს მათივე ფართო კოლექციის ხელმისაწვდომობისა და ჩართულობის გაუმჯობესებას. მუზეუმს აქვს ვირტუალური გამოფენები, რომლებიც ონლაინ ვიზიტორებს საშუალებას აძლევს, ისტორიული გამოფენები ნებისმიერი ადგილიდან მოინახულონ. ეს ინიციატივა ბულგარეთის მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის მსოფლიო აუდიტორიისთვის გაცნობას უზრუნველყოფს.

**ბულგარეთის ეროვნული ისტორიის მუზეუმი**  
<https://en.historymuseum.org/godishni-otcheti/>

ბულგარეთის ეროვნული ისტორიის მუზეუმის მსგავსად **უკრაინის ისტორიის ეროვნულმა მუზეუმმა** დაიწყო რამდენიმე ციფრული პროექტი, მათ შორის არტეფაქტების გაციფრულება და ვირტუალური გამოფენების შექმნა, რაც ვიზიტორებს საშუალებას აძლევს ონლაინ რეჟიმში ნახონ მუზეუმის ფართო კოლექცია, რაც უკრაინის ისტორიას მსოფლიო აუდიტორიისთვის ხელმისაწვდომს ხდის.

**უკრაინის ისტორიის ეროვნული მუზეუმი**  
<https://nmiu.org/en/exhibits/museum>

ვირტუალური რეალობისა და აუგმენტური რეალობის აპლიკაციებს იყენებს **ლატვიის ეროვნული ხელოვნების მუზეუმი**, სადაც ვიზიტორებს შეუძლიათ არა მხოლოდ მუზეუმის ექსპონატების ნახვა, არამედ არქიტექტურისა და

სივრცის ღრმად და საფუძვლიანად გაცნობაც. ეს ინტერაქტიული აპლიკაცია საშუალებას აძლევს ვიზიტორებს ვირტუალურად „შეეხონ“ სხვადასხვა ექსპონატს და გაეცნონ მათ ისტორიას, რაც აუდიტორიის ჩართულობის ახალ დონეს ქმნის.

**ლატვიის ეროვნული ხელოვნების მუზეუმი**  
<https://www.vr-in-he.eu/museum-of-art/>

**ესტონეთის ეროვნული მუზეუმი (ERM)** აქტიურად იყენებს ინტერაქტიულ საშუალებებსა და ციფრულ ინსტალაციებს, რაც საშუალებას აძლევს ვიზიტორებს ინტერაქტიულად გაეცნონ მუზეუმის ექსპონატებს.

**ესტონეთის ეროვნული მუზეუმი**  
<https://www.erm.ee/>

პოსტაბჭოთა ქვეყნების გარდა, ევროპისა და ამერიკის მუზეუმები აქტიურად იყენებენ ინოვაციურ ტექნოლოგიებს ვიზიტორთა გამოცდილების გასამდიდრებლად. მაგალითად, ბრიტანეთის მუზეუმი AR ტექნოლოგიის მეშვეობით ვიზიტორებს საშუალებას აძლევს მიიღონ დამატებითი ინფორმაცია ობიექტების შესახებ, 3D მოდელების გამოყენებით შეიტყონ ძველი სამყაროს ისტორია, პარიზის ლუვრი ხელოვნური ინტელექტის ჩატბოტს იყენებს, რაც ვიზიტორებს მუზეუმის კოლექციების სწრაფი დათვალიერებისა და მათზე მეტი ინფორმაციის მიღების საშუალებას აძლევს. სმიტსონიანის მუზეუმის ინტერაქტიული თამაშების მეშვეობით, როგორცაა “Mission US”, ახალგაზრდები ისტორიას ინტერაქტიული მეთოდებით შეისწავლიან.

საქართველოს ფარგლებში კი აღსანიშნავია ხელოვნების სასახლე - კულტურის ისტორიის მუზეუმის წარმატებული ციფრული ტრანსფორმაცია. მუზეუმი აქტიურად იყენებს სოციალურ მედიაპლატფორმებს და ვებგვერდს, რათა აუდიტორიას გაუზიაროს სიახლეები გამოფენებისა და ღონისძიებების შესახებ. მუზეუმის ვებგვერდზე განთავსებულია ხელნაწერთა და საარქივო დოკუმენტთა ფონდი – კატალოგი, რაც მკვლევრებს და დაინტერესებულ პირებს სახლიდან გაუსვლელად სასურველი მასალის მოძიებაში ეხმარება. გარდა ამისა, ხელოვნების სასახლე აქტიურად თანამშრომლობს Google Arts & Culture პლატფორმასთან, რაც უზრუნველყოფს მუზეუმის ექსპონატების და გამოფენების ონლაინ რეჟიმში ფართო აუდიტორიისთვის გაცნობას.









## მოდული III: კულტურული ორგანიზაციების ციფრული ტრანსფორმაცია

### ამ მოდულის გაცნობის შემდეგ:

- გაიგებთ, როგორ უნდა განახორციელოთ კულტურული ნიმუშების ციფრული არქივაცია, რათა შეინარჩუნოთ და გაავრცელოთ ისტორიული და თანამედროვე მასალა.
- გაეცნობით ტექნოლოგიებს, რომლებსაც შეუძლიათ დაიცვან კულტურული მემკვიდრეობა გარემოს უარყოფითი ფაქტორებისგან, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუზეუმებისთვის.
- გაიგებთ ციფრული არქივაციის შესაძლებლობების შესახებ კვლევისა და სწავლების ქრილში.
- გაეცნობით ინტერნეტ პლატფორმებსა და ვებსაიტებს, რომლებიც უზრუნველყოფენ აუდიტორიის წვდომას კოლექციის მონაცემებსა და ექსპონატებზე.

## 1. ციფრული არქივაცია და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა

### ა. ციფრული არქივაციის მნიშვნელობა

- კულტურული ორგანიზაციები, როგორებიცაა თეატრები, მუსიკალური ჯგუფები, მუზეუმები და სხვა, ახორციელებენ არქივაციას, რათა შეინახონ ან/და გაავრცელონ სხვადასხვა ღონისძიება. მაგალითად, კონცერტები, ისტორიული და თანამედროვე ნამუშევრები (ხელოვნების ნიმუშები, აუდიო და ვიდეო ჩანაწერები, დოკუმენტები).
- მუზეუმების შემთხვევაში ციფრული არქივაცია არის პროცესი, რომლის დროსაც ფიზიკური და დოკუმენტური მემკვიდრეობის ნიმუშები ციფრულ ფორმატში გადადის. ეს პროცესი

მნიშვნელოვან როლს თამაშობს შემოქმედებითი პროდუქტის შენარჩუნებაში, რადგან გაციფრულებული მასალა უზრუნველყოფს მათ ეფექტურ დაცვასა და ხელმისაწვდომობას.

### ბ. დაცვა და ხელმისაწვდომობა

- გახსოვდეთ, რომ ციფრული არქივაცია იცავს კულტურულ ნიმუშებს გარემოს უარყოფითი ფაქტორებისაგან, როგორებიცაა სითბო, სინათლე, და მექანიკური დაზიანებები. ციფრული ფორმატები, ასევე, უზრუნველყოფს მათ ხელმისაწვდომობას ფართო აუდიტორიისთვის, რაც ხელს უწყობს ცოდნის გადაცემას/გავრცელებას.

### გ. ტექნოლოგიები და ინსტრუმენტები

- ციფრული არქივაციისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ სხვადასხვა ტექნოლოგიები, მაგ. სკანერები, ფოტოგრაფია, 3D მოდელირება და აუდიო/ვიდეო ჩამწერი მოწყობილობები. ამ ტექნოლოგიების დახმარებით შეძლებთ, კულტურული ნიმუშები მაღალი ხარისხით დაბეჭდოთ ან/და შეინახოთ.

### დ. ახალი შესაძლებლობები

- ციფრული არქივაცია გვადლევს ახალ შესაძლებლობებს კვლევისა და განათლებისთვის. მეცნიერები და სტუდენტები ვირტუალურად შეძლებენ შეისწავლონ კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშები.

## 2. კოლექციების ციფრული მართვა

### ა. კოლექციის მენეჯმენტი

- ციფრული კოლექციების მართვის სისტემები (CMS) შესაძლებლობას მოგცემთ ეფექტურად მართოთ თქვენი კოლექციები. ეს სისტემები მუზეუმებს და კულტურულ ორგანიზაციებს ეხმარება აკონტროლონ და მართონ ექსპონატების შესახებ ინფორმაცია, ადგილმდებარეობა და მდგომარეობა.



## მოდული IV: ციფრული ინკლუზიურობა და ხელმისაწვდომობა

### ამ მოდულის გაცნობის შემდეგ:

- ისწავლით როგორ უნდა შექმნათ ციფრული შინაარსი, რომელიც მოიცავს სხვადასხვა კულტურას.
- გაიგებთ ციფრული პლატფორმების შესახებ, რომლებიც ყველასთვის, მათ შორის, შშმ პირებისთვის იძლევა შესაძლებლობას ექსპონატები და სხვა კულტურული შინაარსის ნამუშევრები ვირტუალურად მოინახულონ.
- შეისწავლით ონლაინ ღონისძიებების დაგეგმვას, როგორებიცაა ვირტუალური სემინარები და ლექციები, რაც ფართო აუდიტორიის დაინტერესებაში დაეხმარებათ.
- ისწავლით, როგორ უნდა გამოიყენოთ სოციალური მედია კულტურის პოპულარიზაციისთვის.

## 1. ინკლუზიურობის სტრატეგიები<sup>5</sup>

### ა. ციფრული შინაარსის მრავალფეროვნება

- თქვენმა კულტურულმა ორგანიზაციებმა უნდა შექმნან და საზოგადოებას გაუზიარონ ისეთი კონტენტი (შინაარსი), რომელიც მოიცავს სხვადასხვა კულტურებს, ისტორიებსა და გამოცდილებებს. ეს ხელს შეუწყობს მრავალფეროვანი აუდიტორიის ჩართულობას.

5 რუბუ საპა, „განვითარებადი ტექნოლოგია, აუდიტორიის ჩართულობა“, 29 აპრილი, 2019. <https://amt-lab.org/blog/2019/4/digital-engagement-strategies-for-the-21st-century-museum>

### ბ. ხელმისაწვდომობა

- უნდა უზრუნველყოთ, რომ თქვენი ციფრული პლატფორმები ხელმისაწვდომი იყოს სხვადასხვა ტიპის მომხმარებლებისთვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისთვის, რათა მაგ. შეძლონ ექსპონატების ვირტუალურად ნახვა, ინტერაქცია და სხვა.

### გ. სოციალური მედიის გამოყენება

- სოციალური მედია პლატფორმები, როგორებიცაა Facebook, Instagram და Twitter, ხელს უწყობს აუდიტორიის მაქსიმალურ ჩართულობას. თქვენ გაქვთ შესაძლებლობა გამოიყენოთ ეს პლატფორმები აუდიტორიისთვის ინფორმაციის მისაწოდებლად და ინტერაქტიულობის გასაუმჯობესებლად.

### დ. კვლევები და გამოკითხვები

- აუდიტორიის საჭიროებების და სურვილების გასარკვევად შეგიძლიათ ჩაატაროთ კვლევები და გამოკითხვები. ეს დაეხმარებათ თქვენი შეთავაზებები აუდიტორიის ინტერესებს მოარგოთ.

## 2. ციფრული ინოვაციები კულტურის პოპულარიზაციაში

### ა. ონლაინ ღონისძიებები

- ციფრული პლატფორმების გამოყენება ონლაინ ღონისძიებებისთვის, როგორებიცაა ვირტუალური სემინარები და ლექციები, კარგი საშუალებაა თქვენი ორგანიზაციებისთვის, რათა დააინტერესოთ უფრო ფართო აუდიტორია.

### ბ. ვირტუალური გამოფენები

- ვირტუალური გამოფენა თქვენს ორგანიზაციას დაეხმარება იმ ადამიანებს გააცნოს თავისი კოლექციები, რომლებსაც ამა თუ იმ მიზეზით არ შეუძლიათ ფიზიკურად დაესწრონ გამოფენას.





## მოდული V: სოციალური მედია პლატფორმების გამოყენების ინსტრუქცია

### ამ მოდულის გაცნობის შემდეგ:

- გაიგებთ, როგორ შექმნათ ვებგვერდი ე.წ. no-coding ტექნოლოგიების გამოყენებით, როგორცაა Wix პლატფორმა.
- გაეცნობით, როგორ მართოთ სოციალური ქსელები: Facebook, Instagram, Tiktok და სხვა პლატფორმები მომხმარებლების ჩართულობისა და ხილვადობის გაზრდის მიზნით.
- შეისწავლით, როგორ გამოიყენოთ საძიებო სისტემის ოპტიმიზაცია (SEO) და შინაარსის სტრატეგიები, რათა თქვენი ონლაინ კონტენტი ადვილად მისაწვდომი და უფრო მიმზიდველი გახდეს აუდიტორიისთვის.



#### 1. ვებგვერდი

- **შექმნა:** პროგრამირების ცოდნის გარეშე მარტივი და მოქნილი ვებგვერდის შექმნისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ პლატფორმები, როგორცაა Wix, Webflow ან WordPress. ეს საშუალებას გაძლევთ მარტივად წარმოაჩინოთ თქვენი ორგანიზაციის არსი – ფუნქცია, მიზანი, ა.შ. და დაამატოთ საჭირო ფუნქციონალი, როგორცაა კონტაქტური ფორმები, ბლოგები და სხვ.
- **პარამეტრები:** გაითვალისწინეთ, რომ ვებსაიტი უნდა იყოს მობილური, ხელმისაწვდომი დამეგობრებული პირებისა და ორგანიზაციებისთვის და ჰქონდეს მოსახერხებელი საძიებო სისტემა.



#### 2. Facebook

- **გვერდის შექმნა:** Facebook-ზე ორგანიზაციის გვერდის შექმნა საშუალებას გაძლევთ იპოვოთ მომხმარებლები და გაიგოთ მათი აზრი. ამისთვის საჭიროა შექმნათ პერსონალური ან ბიზნეს-გვერდი, განათავსოთ სურათები, ინფორმაცია და მოიძიოთ პოტენციური ან/და აქტიური მომხმარებლები.

- **შინაარსის გაზიარება:** რეგულარულად ატვირთეთ პოსტები, რომლებიც შეიძლება მოიცავდეს გამოსახულებებს, ვიდეოებს, ღონისძიებებსა და კითხვარებს, რათა გააქტიურდეს აუდიტორია.



#### 3. Instagram:

- **პროფილის შექმნა:** Instagram იძლევა საშუალებას შექმნას დამატებითი სოციალური სივრცე პერსონალური თუ ბიზნეს ინტერესებისთვის, ამისთვის საკმარისია ინტერაქციული ვიდეოების და სურათების განთავსება.
- **შინაარსი:** გამოიყენეთ ჰეშტეგები, რომ გაზარდოთ შინაარსის ხილვადობა და ატვირთეთ “Stories” და “Reels”-ები, რათა მოიზიდოთ აუდიტორია და მიიპყროთ ყურადღება.



#### 4. YouTube

- **ვიდეოები:** Youtube იძლევა საშუალებას განათავსოთ ვიდეო, რომელსაც შეუძლია ასახოს პერსონალური თუ ბიზნეს ორგანიზაციების საქმიანობა, წარუდგინოს პროექტები ან/და საგანმანათლებლო რესურსები.
- **საძიებო სისტემის ოპტიმიზაცია:** შეარჩიეთ საუკეთესო, ყველაზე საჭირო ვიდეოები სახელწოდების, აღწერილობისა და ჰეშტეგების მეშვეობით, რაც გამოიწვევს აუდიტორიის ჩართულობასა და რაოდენობის ზრდას.



#### 5. TikTok

- **კრეატიულობა:** TikTok არის ერთ-ერთ ყველაზე გამოყენებადი სოციალური პლატფორმა, რათა შექმნას მოკლე და მხიარული ვიდეოები. მათი მეშვეობით შეძლებთ გაავრცელოთ სწრაფი ინფორმაცია და მიიღოთ ინტერაქციული გამოწვევები.
- **წარმოება:** რეგულარულად განაახლეთ შინაარსი, რათა არა მარტო მიიპყროთ, არამედ შეინარჩუნოთ სულ უფრო მეტი მომხმარებლის ყურადღება.



## მოდული VI: ციფრული ცნობიერების ამაღლება კულტურული დანესებულებებისთვის

### ამ მოდულის გაცნობის შემდეგ:

- მონაწილეები გაიგებენ, როგორ გამოიყენონ ციფრული ტრანსფორმაცია საკუთარი კულტურული დანესებულებების განვითარებისთვის და რატომ არის ის მნიშვნელოვანი შემოქმედებითი ინდუსტრიებისთვის.
- გაეცნობიან სხვადასხვა ციფრულ პლატფორმას, რომლებიც განკუთვნილია მუზეუმებისთვის და კულტურული ორგანიზაციებისთვის და განივითარებენ უნარს, თუ როგორ მართონ ეფექტურად პლატფორმები აუდიტორიის ჩართულობის გასაზრდელად.
- მიიღებენ პრაქტიკულ ცოდნას, თუ როგორ შექმნან და განავითარონ ვებგვერდები “No-coding technology”-ის გამოყენებით, რაც მათ საშუალებას მისცემს შექმნან ციფრული პროდუქტები პროგრამირების ცოდნის გარეშე.



### მიზნები


- 1 ციფრული ტრანსფორმაციის გაგება:** მონაწილეები იძენენ სრულფასოვან ცოდნას ციფრული ტრანსფორმაციის შესახებ და ეცნობიან მის მნიშვნელობას კულტურული დანესებულებებისთვის.
- 2 ციფრული პლატფორმების გაცნობა:** მონაწილეები ეცნობიან სხვადასხვა ციფრულ პლატფორმას და მათ ფუნქციებს, რომლებიც მორგებულია მუზეუმებსა და კულტურულ ორგანიზაციებზე.
- 3 ციფრული ხელსაწყოების გამოყენება:** მონაწილეებში გამო-მუშავდება პრაქტიკული უნარები, რომლებიც საჭიროა ციფრული პროდუქტის შესაქმნელად და მის გასაუმჯობესებლად, კონკრეტულად “No-coding technology”-ის საშუალებით, რაშიც იგულისხმება ვებგვერდის შექმნა პროგრამირების ცოდნის გარეშე.

## მოსალოდნელი შედეგები



**1 ციფრული სტრატეგიების მნიშვნელობა:** სრულად გააცნობიერებენ ციფრული ტრანსფორმაციის არსს და შეძლებენ საკუთარი ინსტიტუტებისთვის შესაბამისი სტრატეგიების განსაზღვრას.

**2 ციფრული ინსტრუმენტების ნავიგაცია:** გაეცნობიან სხვადასხვა ციფრულ პლატფორმას და შეძლებენ მათი ფუნქციონირების დემონსტრირებას კულტურული ორგანიზაციების კონტექსტში.



**3 მარტივი ვებგვერდების შექმნა:** მონაწილეები მიიღებენ პრაქტიკულ ცოდნას ვებგვერდების შექმნაში, რაც მათ საშუალებას მისცემს, განავითარონ თავიანთი ორგანიზაციების ციფრული პლატფორმები.

## სატრენინგო მოდულის თემები

### დღე I

#### სესია 1: რას ნიშნავს ციფრული ტრანსფორმაცია? რატომ არის ციფრული ტრანსფორმაცია მნიშვნელოვანი შემოქმედებითი ინდუსტრიებისთვის?

**ხანგრძლივობა:** 1 საათი

**მიზანი:** მსმენელთათვის ციფრული ტრანსფორმაციის საფუძვლების გაცნობა.

**შინაარსი:**

- » ციფრული ტრანსფორმაციის საფუძვლები
- » შემოქმედებითი ინდუსტრიებისთვის ციფრული ტრანსფორმაციის მნიშვნელობა

#### სესია 2: ციფრული ტრანსფორმაციის გამოწვევები; ამ გამოწვევების გადაჭრის გზები; ციფრული ტრანსფორმაციის წარმატებული მაგალითები

**ხანგრძლივობა:** 40 წუთი

**მიზანი:** მსმენელები მიიღებენ ცოდნას, თუ რა გამოწვევებს შეიძლება წააწყდნენ ტრანსფორმაციის პროცესში და როგორ გაუმკლავდნენ მათ.

**შინაარსი:**

- » ციფრულ ტრანსფორმაციასთან დაკავშირებული გამოწვევების განხილვა
- » გამოწვევებთან გამკლავების გზები
- » ციფრული ტრანსფორმაციის წარმატებული მაგალითების განხილვა

#### სესია 3: ციფრული ტრანსფორმაცია და მედიანიგნიერების მნიშვნელობა

**ხანგრძლივობა:** 30 წუთი

**მიზანი:** მონაწილეებისთვის ციფრული ტრანსფორმაციის, მედია ნიგნიერების და ციფრული პროდუქტების მნიშვნელობის გაცნობა, განსაკუთრებით კულტურული ინსტიტუტებისთვის.

**შინაარსი:**

- » ციფრული ტრანსფორმაციის განმარტება მუზეუმებისა და კულტურული ორგანიზაციების კონტექსტში.
- » მედია ნიგნიერება, ყალბი ინფორმაციის გარჩევის გზები და ინფორმაციის კრიტიკული შეფასების უნარის გაუმჯობესება ციფრული პლატფორმების საშუალებით.
- » ციფრული პროდუქტების მნიშვნელობა მუზეუმებისთვის, ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის აუცილებლობა მუზეუმებისა და კულტურული ორგანიზაციების საქმიანობაში.

#### სესია 4: სოციალური მედიის გამოყენება და ყალბი ინფორმაციის გარჩევა

**ხანგრძლივობა:** 1.30 საათი

**მიზანი:** მონაწილეებს სოციალური ქსელების, განსაკუთრებით ფეისბუქის, გამოყენების სწავლება მუზეუმების პოპულარიზაციისთვის და ყალბი ინფორმაციის გარჩევის უნარების გაუმჯობესება.

**შინაარსი:**

- » სოციალური ქსელების, განსაკუთრებით ფეისბუქის, გამოყენება მუზეუმებისთვის და კულტურული ორგანიზაციებისთვის.
- » ყალბი ინფორმაციის გარჩევის სტრატეგიები - ბრეჟსიტის მაგალითი და ფეისბუქში ყალბი ინფორმაციის გავრცელების მცდელობები.
- » აქტივობები - როგორ შევაფასოთ ინფორმაცია კრიტიკულად და დავიცვათ ჩვენი ორგანიზაცია ყალბი ინფორმაციის გავრცელებისგან.

## დღე II

### სესია 5: კულტურული ორგანიზაციებისთვის ყველაზე ეფექტური ციფრული ტექნოლოგიები; სოციალური მედიის როლი კულტურულ ორგანიზაციებში

**ხანგრძლივობა:** 1 საათი

**მიზანი:** მსმენელები გაეცნობიან კულტურული ორგანიზაციებისთვის ეფექტურ ციფრულ ტექნოლოგიებს და სოციალური მედიის როლს.

**შინაარსი:**

- » ციფრული ტრანსფორმაციის საფუძვლები
- » შემოქმედებითი ინდუსტრიებისთვის ციფრული ტრანსფორმაციის მნიშვნელობა

### სესია 6: ციფრული არქივაცია და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა; ციფრული ინკლუზიურობა და ხელმისაწვდომობა

**ხანგრძლივობა:** 45 წუთი

**მიზანი:** მსმენელები მიიღებენ ინფორმაციას როგორც ციფრული არქივაციის შესაძლებლობების, ისე ციფრული არქივაციისთვის საჭირო ტექნოლოგიების შესახებ, ასევე ციფრული ინკლუზიურობისა და ხელმისაწვდომობის შესახებ.

**შინაარსი:**

- » ციფრული არქივაციის მნიშვნელობა კულტურული ორგანიზაციებისთვის
- » ციფრული არქივაციისთვის განკუთვნილი ტექნოლოგიების მიმოხილვა
- » ციფრული ინკლუზიურობისა და ხელმისაწვდომობის მიმოხილვა

### სესია 7: ციფრული ტრანსფორმაცია და მედიანეგოციერების მნიშვნელობა - შეჯამება

**ხანგრძლივობა:** 30 წუთი

**მიზანი:** პირველ დღეს შესწავლილი მასალების გამეორება

**შინაარსი:**

- » ციფრული ტრანსფორმაციის მნიშვნელობის მიმოხილვა მუზეუმებისა და კულტურული ორგანიზაციების კონტექსტში.
- » ყალბი ინფორმაციის გარჩევის გზები და ინფორმაციის კრიტიკული შეფასების უნარის გაუმჯობესება ციფრული პლატფორმების საშუალებით.
- » დისკუსია ციფრული პროდუქტების მნიშვნელობის ირგვლივ, რა უნდა დაინერგოს, რა უნდა გაუმჯობესდეს და რა უნდა აღმოიფხვრას ციფრული ტექნოლოგიების მიმართულებით კულტურული ორგანიზაციების საქმიანობაში

### სესია 8: “No-code” ტექნოლოგიები და ვებგვერდის განვითარება

**ხანგრძლივობა:** 1.30 საათი

**მიზანი:** მონაწილეებს მიეცეთ თეორიული ცოდნა და პრაქტიკული შესაძლებლობა, შექმნან “No-code” ტექნოლოგიების მეშვეობით ვებგვერდი კულტურის სფეროში არსებული ორგანიზაციებისთვის.

**შინაარსი:**

- » ვებგვერდების მშენებელი პლატფორმების (მაგ. WordPress, Wix, Web-flow) ფუნქციების განმეორება და მათი პრაქტიკული გამოყენება.
- » ვებგვერდის და მისი სტრუქტურის საბოლოო კომპონენტების განხილვა და პრაქტიკული განხორციელება.
- » მუზეუმის ვებსაიტის ძირითადი კომპონენტების, მათ შორის მთავარი გვერდის დიზაინის, ექსპოზიციების გვერდების და საკონტაქტო ინფორმაციის დასრულება და გაშვება.

\* ქვემოთ მდებარე დღის წესრიგის სამუშაო ვერსია წარმოადგენს მაგალითს, რომელიც ჩვენი გზამკვლევის მკითხველს დაეხმარება სესიებისა და ტრენინგის განრიგის შედგენაში. მნიშვნელოვანია ფორმატი იყოს ინტერაქციული და ყოველი თეორიული თავის შემდგომ მონაწილეს მისცეთ დავალება (ინდივიდუალური ან/და ჯგუფური). ასევე, სასურველია სხვადასხვა სახალისო სავარჯიშოებისა და დავალებების ინტეგრირება.



## დღის წესრიგის შაბლონი

### სესია I: 1 სთ.

#### რას ნიშნავს ციფრული ტრანსფორმაცია? რატომ არის ციფრული ტრანსფორმაცია მნიშვნელოვანი შემოქმედებითი ინდუსტრიებისთვის?

ციფრული ტრანსფორმაციის განმარტება და მნიშვნელობა (10 წუთი)

- » ციფრული ტექნოლოგიების როლი
- » ციფრული იდენტობა

ციფრული ტრანსფორმაციის ტენდენციები (10 წუთი)

- » Web 1.0 და Web 2.0
- » სოციალური ქსელების გავლენა

მუშაობის პროცესების ოპტიმიზაცია და თანამშრომლობა (10 წუთი)

- » დისტანციური კომუნიკაციის უპირატესობები
- » თანამშრომლობის პლატფორმები

სავარჯიშო: კონკრეტული მიზნების განსაზღვრა, ჯგუფური ან/და  
ინდივიდუალური სამუშაო (15 წუთი)

- » გუნდის წევრების ჩართულობა
- » შედეგების გაზიარება

კითხვა-პასუხი, შეჯამება (10 წუთი)

### სესია II: 1 სთ.

#### ციფრული ტრანსფორმაციის გამოწვევები; ამ გამოწვევების გადაჭრის გზები; ციფრული ტრანსფორმაციის წარმატებული მაგალითები

გამოწვევების მიმოხილვა (15 წუთი)

- » ფინანსური შეზღუდვები
- » ციფრული უნარების ნაკლებობა
- » კანონმდებლობის გამოწვევები
- » ინფრასტრუქტურული პრობლემები

ჯგუფური სავარჯიშო (15 წუთი)

- » მონაწილეების დაყოფა ჯგუფებად
- » პრობლემების იდენტიფიცირება და შესაბამისი სტრატეგიების შემუშავება

გამოწვევების გადაჭრის გზები (10 წუთი)

- » ციფრული შესაძლებლობების გააზრება

წარმატებული მაგალითების მიმოხილვა (10 წუთი)

- » რამდენიმე წარმატებული მაგალითის მოკლე განხილვა

შეკითხვები და პასუხები (10 წუთი)

- » დისკუსია

### სესია III: 30 წთ.

#### ციფრული ტრანსფორმაციის განმარტება, ციფრული პროდუქტების მნიშვნელობა, მედია წიგნიერება, ყალბი ინფორმაციის გარჩევა

ციფრული ტრანსფორმაციის განმარტება (10 წუთი)

- » ციფრული ტრანსფორმაციის მნიშვნელობა და მიზნები
- » მუზეუმებისა და კულტურული ორგანიზაციების კონტექსტში ციფრული ტრანსფორმაციის როლი

ციფრული პროდუქტების მნიშვნელობა (10 წუთი)

- » ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის აუცილებლობა მუზეუმებისა და კულტურული ორგანიზაციების საქმიანობაში

მედიაწიგნიერება (10 წუთი)

- » ყალბი ინფორმაციის გარჩევის გზები
- » კრიტიკული შეფასების უნარის გაუმჯობესება ციფრული პლატფორმების საშუალებით

### სესია IV: 1.5 სთ.

#### სოციალური ქსელების გამოყენება, ყალბი ინფორმაციის გარჩევა, აქტივობები ყალბი ინფორმაციისგან თავის დაცვა

სოციალური ქსელების გამოყენება (30 წუთი)

- » სოციალური ქსელების მნიშვნელობა მუზეუმებისთვის და კულტურული ორგანიზაციების პოპულარიზაციისათვის

ყალბი ინფორმაციის გარჩევის სტრატეგიები (30 წუთი)

- » ბრექსიტის მაგალითი და ფეისბუქში ყალბი ინფორმაციის გავრცელების მცდელობები

აქტივობები (30 წუთი)

- » როგორ შევაფასოთ კრიტიკული ინფორმაცია
- » როგორ დავიცვათ ყალბი ინფორმაციისგან და მისი გავრცელებისგან

**სესია V: 1 სთ.**

**კულტურული ორგანიზაციებისთვის ყველაზე ეფექტური ციფრული ტექნოლოგიები; სოციალური მედიის როლი კულტურულ ორგანიზაციებში**

კულტურული ორგანიზაციებისათვის ყველაზე ეფექტური ციფრული ტექნოლოგიები (15 წუთი)

- » ვებსაიტები და ინტერნეტ პლატფორმები
  - როლი და მნიშვნელობა
- » სოციალური მედია
  - აუდიტორიის ჩართულობა და ინფორმაცია
- » ვირტუალური და აუგმენტური რეალობა (VR/AR)
  - უნიკალური გამოცდილებები და 3D ბეჭდვის როლი

ჯგუფური სავარჯიშო (15 წუთი)

- » შეკითხვების განხილვა:
  - რომელ ციფრულ ინსტრუმენტებს იყენებთ?
  - რომელი ინსტრუმენტია ყველაზე მნიშვნელოვანი და რატომ?

სოციალური მედიის როლი კულტურულ ორგანიზაციებში (15 წუთი)

- » აუდიტორიის ჩართულობა
- » ინფორმაციის გავრცელება
- » ბრენდის ცნობადობა
- » წვდომა სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიებზე

სოციალური მედიის კამპანიის გეგმა (15 წუთი)

- » ჯგუფური სავარჯიშო
  - სოციალური მედიის კამპანიის გეგმის შემუშავება
  - სამიზნე აუდიტორიის განსაზღვრა

**სესია VI: 1 სთ.**

**ციფრული არქივაცია და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა; ციფრული ინკლუზიურობა და ხელმისაწვდომობა**

ციფრული არქივაცია და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა (15 წუთი)

- » ციფრული არქივაციის მნიშვნელობა
  - რა არის ციფრული არქივაცია და მისი როლი კულტურული ორგანიზაციებისათვის
- » დაცვა და ხელმისაწვდომობა
  - როგორ იცავს ციფრული არქივაცია კულტურულ ნიმუშებს
- » ტექნოლოგიები და მეთოდები
  - სხვადასხვა ტექნოლოგიების მიმოხილვა (სკანერები, 3D მოდელირება და სხვ.)
  - ახალი შესაძლებლობები

კოლექციების ციფრული მართვა (15 წუთი)

- » კოლექციის მენეჯმენტი
  - ციფრული კოლექციის მართვის სისტემები (CMS)
- » მონაცემთა მართვა
  - მონაცემების სისწორე და მართვის მნიშვნელობა
- » საზოგადოებრივი ხელმისაწვდომობა
  - ინტერნეტ პლატფორმები და ვებსაიტები

სავარჯიშო: ციფრული არქივაციის ინსტრუმენტები (10 წუთი)

- » მონაწილეები განხილავენ:
  - რომელ ინსტრუმენტებს გამოიყენებენ მათი ორგანიზაციისთვის და რატომ?

ციფრული ინკლუზიურობა და ხელმისაწვდომობა (10 წუთი)

- » ინკლუზიურობის სტრატეგიები
  - ციფრული შინაარსის მრავალფეროვნება
  - ხელმისაწვდომობა
  - სოციალური მედიის გამოყენება
- » ციფრული ინოვაციები კულტურის პოპულარიზაციაში
  - ონლაინ ღონისძიებები
  - ვირტუალური გამოფენები
  - გაზიარება სოციალური მედიის საშუალებით

სავარჯიშო: ინკლუზიურობის სტრატეგიები (10 წუთი)

ჯგუფური სავარჯიშო:

- » ორგანიზაციის ინკლუზიურობის სტრატეგიების შემუშავება
- » ონლაინ ღონისძიების და ვირტუალური გამოფენის გეგმა

**სესია VII: 30 წთ.****პირველ დღეს შესწავლილი თეორიის  
პრაქტიკული გამოცდები: ციფრული  
ტრანსფორმაციის განმარტება, ციფრული  
პროდუქტების მნიშვნელობა, მედია  
ნიგნიერება, ყალბი ინფორმაციის გარჩევა***თემის მიმოხილვა (10 წუთი)*

- » ციფრული ტრანსფორმაციის მნიშვნელობა მუზეუმებისა და კულტურული ორგანიზაციების კონტექსტში.
- » ყალბი ინფორმაციის გარჩევის გზების მოკლე განხილვა

*ჯგუფური აქტივობა (20 წუთი)*

- » მონაწილეები დაიყოფიან ჯგუფებად და მიეცემათ დავალებები რომ მოიძიონ მაგალითები ციფრული ტრანსფორმაციის პრაქტიკის შესახებ სხვა ქვეყნებში, განსაკუთრებით მუზეუმებისა და კულტურული ორგანიზაციების კონტექსტში
- » თითოეული ჯგუფი მოამზადებს მოკლე პრეზენტაციას (3-4 წუთი) მათ მიერ მოძიებული მაგალითების გამოყენებით

*დისკუსია (10 წუთი)*

- » ჯგუფები ერთობლივად განიხილავენ პრეზენტაციებს

**სესია VIII: 1.5 სთ.****ვებგვერდის მშენებელი პლატფორმები,  
ვებსაიტის სტრუქტურული კომპონენტები,  
პროექტის განხორციელება და გაშვება***ვებგვერდების მშენებელი პლატფორმების განხილვა (30 წუთი)*

- » WordPress, Wix, Webflow-ის ფუნქციების განმეორება
- » პრაქტიკული გამოყენება და პლატფორმების შედარება

*ვებსაიტის სტრუქტურის კომპონენტები (30 წუთი)*

- » ძირითადი კომპონენტების განხილვა
- » მთავარი გვერდის დიზაინი
- » ექსპოზიციების გვერდები
- » საკონტაქტო ინფორმაცია

*პროექტის განხორციელება (30 წუთი)*

- » მონაწილეები პრაქტიკულად იმუშავენ და შექმნიან მუზეუმის ვებსაიტის ძირითადი კომპონენტების დიზაინს და განხორციელებას
- » ვებგვერდის დასრულება და გაშვება

*შეფასება და დისკუსია.*

